ხელშეკრულება #1/33-2022

ქ.თბილისი **მარტი, 2022 წ.**

ერთი მხრივ,
შპს „საქართველოს აეროპორტების გაერთიანება" (მისამართი: თბილისი, სამგორის რაიონში, აეროპორტი (აეროპორტის დასახლება); ს.კ 404389693) წარმოდგენილი მისი დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის კონსტანტინე ქათამაძის სახით (შემდგომში „შემსყიდველი")

და მეორე მხრივ,
შპს „ჯი პი გრუპი" (იურიდიული მისამართი: საქართველო, ქ. თბილისი, ისნის რაიონი, ექიმის შეს N2 ბინა N151; ს.კ.406 268 541) წარმოდგენილი მისი დირექტორის უშანგი ჩიხლაძის სახით (შემდგომში „მიმწოდებელი")

საქართველოს კანონის „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ", საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ს[1]" ქვეპუნქტის თანახმად, ვდებთ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1 ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს შპს „საქართველოს აეროპორტების გაერთიანების" ოფისის, სასწავლო ცენტრის, საკონტროლო გამშვები პუნქტების N1 და N2-ის შენობების ასევე მიმდებარე ტერიტორიების დასუფთავებისათვის სანიტარულ-ჰიგიენური საშუალებების შესყიდვა.
1.2 საქონლის დეტალური ჩამონათვალი და კლასიფიკატორის კოდები მითითებულია დანართში №1-ში, რომელიც წარმოადგენს წინამდებარე ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

2. ხელშეკრულების ფასი

2.1. ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს 1588.20 (ათას ხუთას ოთხმოცდარვა ლარი და 20 თეთრი) ლარი. საქონლის დეტალური განფასება და მახასიათებლები მოცემულია დანართში №1-ში, რომელიც წარმოადგენს წინამდებარე ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.
2.2. ხელშეკრულების ღირებულებაში შედის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ყველა გადასახადი, (მათ შორის დღგ) რომლის გადახდა ეკისრება „მიმწოდებელს".

3. ხელშეკრულების განხორციელების ვადები და ადგილი

3.1. საქონლის მიწოდება უნდა განხორციელდეს ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 10 (ათი) სამუშაო დღისა. საქონლის მიწოდების ადგილი: ქ.თბილისი, შპს ,,საქართველოს აეროპორტების გაერთიანების" ადმინისტრაციული ოფისი.

4. შესყიდვის ობიექტის მიღება–ჩაბარების წესი

4.1. შესყიდვის ობიექტის მიღება საქონლის მიწოდებისთანავე ფორმდება „მიღება-ჩაბარების" აქტით. რის საფუძველზეც „მიმწოდებელი" „შემსყიდველს" წარუდგენს სასაქონლო ზედნადებსა და საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურას.

5. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

5.1. „მიმწოდებელთან" ანგარიშსწორება ხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორებით ეროვნულ ვალუტაში.
5.2. ანგარიშსწორების საფუძველია მხარეების უფლებამოსილი პირების მიერ გაფორმებული „მიღება–ჩაბარების" აქტი, წარმოდგენილი სასაქონლო ზედნადები და საგადასახადო ანგარიშ–ფაქტურა.

5.3. „მიმწოდებელთან“ ანგარიშსწორება ხორციელდება „მიღება–ჩაბარების“ აქტის, სასაქონლო ზედნადებისა და საგადასახადო ანგარიშ–ფაქტურის წარმოდგენიდან არაუგვიანეს 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.
5.4. „მიღება–ჩაბარების“ აქტის, სასაქონლო ზედნადებისა და საგადასახადო ანგარიშ–ფაქტურის წარმოდგენის გარეშე, არ მოხდება თანხის გადახდა.

6. მხარეთა უფლებამოვალეობანი

6.1. „მიმწოდებელი“ ვალდებულია:

6.1.1. მიაწოდოს შემსყიდველს ხარისხიანი საქონელი ხელშეკრულებით გათვალისწინებულ დროსა და ადგილას;
6.1.2. წინასწარ შეუთანხმოს შემსყიდველს მიწოდების დრო;
6.1.3. მიაწოდოს შემსყიდველს ნივთობრივად უნაკლო საქონელი, ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად;
6.1.4. კეთილსინდისიერად შეასრულოს ნაკისრი ვალდებულება;
6.1.5. დროულად განიხილოს „შემსყიდველის” მიერ წამოჭრილი პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია ხელშეკრულების შესრულებასთან;
6.1.6. დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა;
6.1.7. უზრუნველყოს შემსყიდველისთვის ხელშეკრულების საგანთან დაკავშირებული ყველა დოკუმენტაციის მიწოდება ასეთის არსებობის შემთხვევაში;
6.1.8. პასუხი აგოს მიწოდებული საქონლის მსგავსი პროდუქტისთვის დადგენილ სტანდარტებთან და ხარისხთან შესაბამისობაზე;
6.1.9. მიწოდებულ საქონელზე გამოვლენილი ნაკლი აღმოფხვრას საკუთარი ხარჯებით, გარდა იმ შემთხვევისა თუ ამგვარი ნაკლი გამოწვეულია შემსყიდველის (რომელშიც მოიაზრებიან როგორც მისი პერსონალი, ასევე ნებისმიერი სხვა პირი რომელიც იმყოფება შემსყიდველის ტერიტორიაზე, მათ შორის მესამე პირებიც) ბრალეული ქმედებით და/ან არასწორი ექსპლუატაციით;
6.1.10. შემსყიდველის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე, არც მთლიანად და არც ნაწილობრივ არ გადასცეს მოცემული ხელშეკრულებით გათვალისწინებული თავისი უფლება-მოვალეობები მესამე პირს;
6.1.11. მიმწოდებელი ვალდებულია პირადად განახორციელოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები;

6.2. „შემსყიდველი” ვალდებულია:

6.2.1. უზრუნველყოს მიმწოდებლისათვის მიწოდებული საქონლის საფასურის გადახდა ხელშეკრულების შესაბამისად.
6.2.2. დროულად განიხილოს “მიმწოდებლის” მიერ წამოჭრილი პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია ხელშეკრულების შესრულებასთან.
6.2.3. ნაკლის აღმოჩენიდან დაუყოვნებლივ შეატყობინოს „მიმწოდებელს“ საქონლის ნაკლის შესახებ.

6.3. „მიმწოდებელს” უფლება აქვს:

6.3.1. ხელშეკრულების ფარგლებში მოითხოვოს მიწოდებული საქონლის საფასურის დროული და სრული ანაზღაურება.

6.4. „შემსყიდველს” უფლება აქვს:

6.4.1. აწარმოოს ხელშეკრულების პირობების შესრულების მონიტორინგი;
6.4.2. არ მიიღოს უხარისხო საქონელი, მოითხოვოს ხარვეზის გამოსწორება ან ახლით შეცვლა (თუ ნაკლის გამოსწორება შეუძლებელია);
6.4.3. მოითხოვოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების ჯეროვნად შესრულება;
6.4.4. შეწყვიტოს ხელშეკრულება წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობების შესაბამისად;

7. ხელშეკრულების პირობების და ფასების გადასინჯვა

7.1. სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების განხორციელების შემთხვევაში, აღნიშნული ცვლილება უნდა გაფორმდეს წერილობითი ფორმით.

7.2. სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების პირობების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა.

7.3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, დაუშვებელია სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%–ზე მეტი ოდენობით გაზრდა.

8. ფორს-მაჟორი

8.1. მხარეები თავისუფლდებიან ვალდებულების დარღვევით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ ასეთი დარღვევა გამოწვეულია ისეთი დაუძლეველი ძალის ზემოქმედებით (ფორსმაჟორული გარემოება), რომლის წინასწარ გათვალისწინება ანდა გონივრული მეთოდებით გადალახვა შეუძლებელია. ასეთი გარემოებებია (და არამხოლოდ) მიწისძვრა, ხანძარი, ქარიშხალი, დიდთოვლობა, წყალდიდობა, ეპიდემია, სამხედრო მოქმედებები, მესამე პირების გაფიცვები, სახელმწიფოს ცენტრალური ან ადგილობრივი ორგანოების გადაწყვეტილება ან გადაწყვეტილების არარსებობა, კანონმდებლობაში შესული ცვლილებები და მისთანანი, რომელსაც შეიძლება ადგილი ჰქონდეს როგორც საქართველოში ასევე იპორტიორ ქვეყანაში (საიდანაც ხდება საქონლის ჩამოტანა მიმწოდებლის მიერ).

8.2. ფორსმაჟორული გარემოების არსებობა დადასტურებული უნდა იყოს კომპეტენტური სახელმწიფო ორგანოსა თუ დაწესებულების მიერ ოფიციალურად.

8.3. მხარე ვალდებულია, პირველივე შესაძლებლობისთანავე შეატყობინოს მეორე მხარეს ფორსმაჟორული გარემოების დადგომის შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, მას უფლება ერთმევა, ვალდებულების შეუსრულებლობა გაამართლოს ფორსმაჟორზე მითითებით.

8.4. მხარეებს ასევე შეუძლიათ, ფორსმაჟორის დადგომის შემთხვევაში, ამ მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის გარეშეც ურთიერთშეთანხმებით შეწყვიტონ, შეაჩერონ ან შეცვალონ ეს ხელშეკრულება.

9. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

9.1. თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნონ ერთმანეთს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ 10 (ათი) დღის ვადაში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის (შეთანხმების) გზით.

10. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

10.1. ფორს–მაჟორული პირობების გარდა, ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობისათვის ან არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0,1%-ის ოდენობით ყოველი ვადაგადაცილებული დღისათვის.

10.2. ფორს–მაჟორული პირობების გარდა, ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობისათვის ან არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში შემსყიდველს ეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0,1%-ის ოდენობით ყოველი ვადაგადაცილებული დღისათვის.

10.3. იმ შემთხვევაში, თუ 10.1 ან 10.2 პუნქტით განსაზღვრული პირგასამტეხლოს ჯამური ღირებულება აღემატება ხელშეკრულების ღირებულების 10 %-ს, მხარეს აქვს უფლება შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოითხოვოს პირგასამტეხლოს ანაზღაურება.

10.4. საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მხარეებს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

11. ხელშეკრულების შეწყვეტა

11.1. ხელშეკრულება შეიძლება შეწყვეტილ იქნეს:

11.1.1. ურთიერთვალდებულებების შესრულებით;

11.1.2. მხარეთა შეთანხმებით;

11.1.3. საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

12. ინსპექტირების პირობები

12.1. ხელშეკრულების შესრულების კონტროლს განახორციელებს ტექნიკური კოორდინატორი იოსებ ივანაშვილი ან მისი მოვალეობის შემსრულებელი და შესყიდვების მონიტორინგის სამსახური.

12.2. კონტროლის განმახორციელებელ პირთა ფუნქციებია:

12.2.1. მხარეების მიერ ნაკისრი ვალდებულებების ხელშეკრულების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით, სათანადო კონტროლისა და ზედამხედველობის განხორციელება.

12.2.2. ტექნიკური კოორდინატორის იოსებ ივანაშვილის ან მისი მოვალეობის შემსრულებლის ფუნქციაა ასევე სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების პირობების შესაბამისად „მიმწოდებელთან" „მიღება-ჩაბარების" აქტის ხელმოწერა.

13. მხარეთა პასუხისმგებლობა

13.1. თითოეული მხარე ვალდებულია აუნაზღაუროს მეორე მხარეს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობით ან არაჯეროვანი შესრულებით მიყენებული ზიანი.

14. გამოყენებული სამართალი

14.1. ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ინტერპრეტირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

15. დავა

15.1. ხელშეკრულებიდან გამომდინარე სადავო საკითხები წყდება მხარეთა ურთიერთშეთანხმების გზით, დავის წარმოშობიდან არაუგვიანეს 14 (თოთხმეტი) კალენდარული დღისა. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში დავას განიხილავს სასამართლო საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

16. დასკვნითი დებულებები

16.1. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს მხარეთა მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებისა და ვალდებულებების სრულად და ჯეროვნად შესრულებამდე, მაგრამ არაუგვიანეს 2022 წლის 10 მაისი.

16.2. თუ წინამდებარე ხელშეკრულების რომელიმე დებულება ბათილია, მიუხედავად ბათილობის საფუძვლისა, ეს არ გამოიწვევს მთელი ხელშეკრულების ბათილობას. ამ შემთხვევაში ხელშეკრულების დარჩენილი დებულებები მოქმედებს ბათილი დებულების გარეშე.

16.3. მხარეთა შორის წერილობითი შეთანხმების საფუძველზე, წინამდებარე ხელშეკრულებაში შეიძლება შეტანილ იქნეს ცვლილებები და დამატებები.

16.4. ხელშეკრულება შედგენილია ელექტრონულად და დამოწმებულია კვალიფიციური ხელმოწერით.

17 მხარეთა ხელმოწერები და რეკვიზიტები

„შემსყიდველი"
შპს „საქართველოს აეროპორტების გაერთიანება"
მისამართი: თბილისი, სამგორის რაიონში, აეროპორტი (აეროპორტის დასახლება)
ს.კ. 404 389 693
საბანკო რეკვიზიტები: სს „თი ბი სი ბანკი",
ბანკის კოდი: TBCBGE22
ა/ა: GE47TB0615536070100001 / GEL

კონსტანტინე ქათამაძე
დირექტორის მ/შ

United Airports of Georgia LLC
Digitally signed by United Airports of Georgia LLC
DN: cn=United Airports of Georgia LLC, 2.5.4.97=NTRGE-404389693, o=[illegible], c=GE
Date: 2022.03.21 13:50:57 +04'00'

„მიმწოდებელი"
შპს „ჯი პი გრუპი"
მისამართი: საქართველო, ქ. თბილისი, ექიმის შესახვევი N2
ს.კ. 406 268 541
საბანკო რეკვიზიტები: სს „თიბისი ბანკი",
ბანკის კოდი: TBCBGE22
ა/ა: GE71TB7082236020100012GEL

უშანგი ჩიხლაძე
დირექტორი

დანართი N1.

№	პროდუქტის დასახელება	ტექნიკური მახასიათებლები	მწარმოებელი/ მოდელი	CPV კოდი	განზომილების ერთეული	რაოდენობა	ერთეულის ფასი დღგ-ს ჩათვლით	საერთო ფასი დღგ-ს ჩათვლით
1	დეზედორი ტუალეტის (სურნელოვანი)	შეფუთვა არანაკლებ 300 მლ	თურქეთი/Belux	39811300	ცალი	**216**	2,15	**464,4**
2	ტუალეტის სახეხი სითხე	მადეხზინფიცირებელი სითხე	ირანი/banoo	39831600	ცალი	**96**	2,5	**240**
3	შუშის საწმენდი სითხე (ფლაკონი)	სასხურებლით არანაკლებ 500 მლ	საქართველო/like	39830000	ცალი	**48**	1,9	**91,2**
4	ლამინატის საწმენდი სითხე	არანაკლებ 1 ლიტრიანი შეფუთვით	საქართველო/Zeto	39831300	ლიტრი	**60**	3,75	**225**
5	სარეცხი ქლორი მათეთრებელი	არანაკლებ 1 ლიტრიანი შეფუთვით	საქართველო/like	39822000	ცალი	**48**	1,1	**52,8**
6	ჭურჭლის სარეცხი სითხე	არანაკლებ 0.5 ლიტრიანი	საქართველო/best	39832000	ცალი	**36**	1,7	**61,2**
7	სახეხი ფხვნილი	სამზარეულოს ზედაპირისა და ნიჟარის ზედაპირის სახეხად. არანაკლებ 400 გრ შეფუთვით	ირანი/rakhsha	39832000	ცალი	**84**	1,9	**159,6**
8	ნიჟარის საწმენდი სითხე	0,5 ლიტრიანი	თურქეთი/MumeX	39830000	ცალი	**84**	3,5	**294,00**
სულ ჯამი დღგ-ს ჩათვლით								**1588.20**

„შემსყიდველი"
შპს „საქართველოს აეროპორტების გაერთიანება"

კონსტანტინე ქათამაძე
დირექტორის მ/შ

„მიმწოდებელი"
შპს „ჯი პი გრუპი"

უშანგი ჩიხლაძე
დირექტორი

ხელწერილი ინტერესთა კონფლიქტის შესახებ

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის შესაბამისად, ვადასტურებთ, რომ შპს „საქართველოს აეროპორტების გაერთიანების" ოფისის, სასწავლო ცენტრის, საკონტროლო გამშვები პუნქტების N1 და N2-ის შენობების ასევე მიმდებარე ტერიტორიების დასუფთავებისათვის სანიტარულ-ჰიგიენური საშუალებების შსყიდვასთან დაკავშირებით, შპს "ჯი პი გრუპთან" გასაფორმებელ ხელშეკრულებაში ინტერესთა კონფლიქტში არ ვიმყოფებით.

დირექტორის მ/შ
კონსტანტინე ქათამაძე

ტექნიკური კოორდინატორი
იოსებ ივანაშვილი